



აი, რა სურათი დაბრიალდება თბილისში, თუ
საჭმის ის პირები მიუსხდებიან, ვის სახელეგზედაც
არის გაფორმებული ავტომანქანები.

ნახ. ვ. ლოლუასი

№ 22 (8248) თბილისი, ნოემბერი 1966

სიყვარული

გაზეთის 41-ე წელი უანი 20 კპპ



„მმართველი“

სოფელში-გასაჩინებლად

სოფელში მხატვრული ბრიგადა ჩამოვიდა.
 — კონცერტს მერე ხომ დავასველებთ? — იკითხა ბრიგადის ხელმძღვანელმა.
 — მერე რატომა, შეიძლება კონცერტზე მოგისწროთ წვიმამ. — გადაასხა ცივი წყალი კლუბის გამგემ.
 — კლუბი რა მდგომარეობაში გაქვთ?
 — გმადლობთ, არა უშავს.
 — გასახდლები არის?
 — სოფელში მოფარებულ ადგილის მეტი რაა!
 — შხაბი თუა?
 — რასა ბრძანებთ!
 — ცივი წყალიც არაა?
 — როგორ გეკადრებათ!..
 — კვლავ გადაასხა ცივი წყალი მასპინძელმა.
 — აბა, სად ვართ, კაცო?
 — აქა ხართ, სოფელში, ბატონო!
 — პიანინო გაქვთ?
 — გიტარა გვაქვს.
 — რეზონანსი როგორია?
 — რეზო ნასიძე ჩვენი მონიანვე მწყემსია.
 — ელაპარაკე ახლა ამას!

— მელაპარაკე, ძმოსან...
 — დოლი მაინც არ გაქვთ?
 — დოლი გვაქვს.
 — სადაა, მოიტანე!
 — მთაშია დოლი.
 — შენ რა დოლზე მელაპარაკები?
 — ცხვრის დოლზე.
 — ქართული არ გესმის?
 — შენი ქართული — არა.
 — ასეთი მოუშაადებელი შეხვედრისთვის სოფლსაბჭოში გიჩივლებთ! — იყვირა ერთმა.
 — რაისაბჭოს მივწერ! — იყვირა მეორემ.
 — რაიკომს მივწერ! — იყვირა მესამემ.
 — თქვენ, კაცო, მოცეკვავეები ხართ თუ მწერლები?!
 — ...სალამოს, კონცერტის წინ, ბრიგადის ხელმძღვანელმა კლუბის გამგეს უკანასკნელად შესჩივლა:
 — რა ვქნათ, მოცეკვავეებს ჩოხები წამოუღიათ და ქილები დავიწყნიათ!
 — ქილების მაგიერ „ვეჩნი რუჩკები“ ჩაიწყონ!


გელა თელია

(იმი ჩემი ნაცნობიკაა. თუმცა ვისი ნაცნობი აღარ არის!
 — სახელად პროკლე ჰქვია და საოცრად ენერგიული კაცია. ერთხელ ჩემი ნაცნობის ნაცნობმა იხუმრა: ამ კაცის აახელი პროტექციისგან წარმოსდგებაო.
 ეს იმიტომ იხუმრა, რომ პროკლე ყოფილთვის დარბის და ოფლს იწმენდს სქელი კისრიდან.
 — ჩემს სერგოს სალამი, კაი გამარჯობა!
 — გაგიმარჯოთ, პატივცემულო პროკლე!
 — სერგოს ვენაცვალე, ერთი პატარა სათხოვარი მაქვს და არ უნდა გამაწბილო!
 — ბრძანეთ!
 — ტრესტში ხომ გყავს ნაცნობი? არ თქვა, არაო!
 — კი... რომელ ტრესტში?
 — იცი შენ ის ტრესტი!
 — კი... მყავს... მხოლოდ მე კი არა, ერთ ჩემს ნაცნობს ჰყავს იქ ნაცნობი.
 — გაკეთდა საქმე! აბა, ჩემო სერგო, დამდე პატივი და იმ შენს ნაცნობს უთხარი, ეგება თხოვოს თავის ნაცნობს — ერთ ჩემს ნაცნობს თავისი ნაცნობისთვის პატარა საქმე გაუკეთოს ტრესტში. ღმერთივით კაცია...
 — ვნახოთ, ვნახოთ, პროკლე!
 — აბა, შენ იცი!


— ააა, ხარიტონ ტრიფონის უღმესი სალამი!
 — სალამი, სალამი, პროკლე!
 — ხარიტონ ტრიფონის ჭირი შეეყარა პროკლეს, დამდე პატივი, ჰქენით კეთილი საქმე... ხომ გყავთ ინსტიტუტში ნაცნობი?
 — კი, მყავს!
 — ოო, შენ დავენაცვლე, შენ! აგერ ერთი ჩემი ნაცნობია, ბიჭი ჰყავს სულ ხუთოსანი, იქნებ გეთქვით იმ ნაცნობისთვის... მამამისი თავს იკლავს, ერთი ნაცნობი ვერ ვნახეო, ღმერთივით კაცია...

— თუ სულ ხუთები ჰყავს?!
 — ახლა მთლად მასე არაა საქმე, მაგრამ ნაცნობი მაინც ნაცნობია, იმ ბალანას სამეზობლო ჰყავს, მაგრამ ნაცნობი რომ ეტყვის სიტყვას...
 — რა ვიცი, ვერ შეგპირდები, პროკლე, მაგრამ თუ...
 — აბა, შენი დიდი იმედი მექნება!
 — ამას ვის ვხედავ?! ვინაა, კაცო, ეს?! ჩემი კარლო? შენ გენაცვალე სულში!
 — გაუმარჯოს ბატონ პროკლეს!
 — კარლოია, შენი ჭირივით, შენ რომ გაჩნდი ამ ქვეყანაზე, იმ საათს ვენაცვალე მე! გამომცემლობაში ხომ გყავს ნაცნობი? არ...
 — კი, მყავს!
 — კაცი ხარ! აბა, ერთი ჩემი ნაცნობის კაი ნაცნობის შვილია, ნიჭიერი ბიჭია, გაგებარდება! ლექსებს წერს, ლექსებს და ინსტიტუტში კი ქართულში ჩაბჭურს იმ უსინდისობებმა, აბა!.. ახლა შენ იმ შენს ნაცნობთან უნდა შეგვაწიო სიტყვა გამომცემლობაში, წიგნი გამოუცვენ...
 — კაცო, შენ მეტი საქმე არა გაქვს?!
 — რა ვაწყვიენ, კარლოს ვენაცვალე?
 — რომ დადისარ აქეთ-იქით და აწუსებ ამ ხალხს, აი, ვეტყვი იმ თქვენს დაწესებულებაში იმ შემს უფროსს, რომ...
 — რავე, სარდიონ ვარდენის იცნობ? არ გადამრიო კაცი!
 — დიას, ძალიან კარგად!
 — აუპ! შენ შემოგველე!.. მომკალი! ჰე, ბიჭო, აგერ ერთი ნაცნობი მყავს, ძველი ბუღალტერია, ჩვენი თანადგილი გათავისუფლდა... უარი არ გამგონო! შენ უნდა უთხრა ვარდენის, კარლოს დავედმ ბტლემ! ღმერთივით კაცია!..
 — თქვენ, მეგობრებო, არსად შეგხვედრიათ პროკლე?

ზურაან ჟორდანაშვილი



— გუშინ რომ ვინაში მომბატყვით და სამსახურიდან მოხსნით დაგვეშვრეთ, გოდოშს ვიხდი, არაფერი არ გამოვივიდა!



იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში კაცი აღარ დარჩა დისურცადიადი, და რომ დისურცადის დაცვა ახლა აღარაფის უკვირს. ნიანგის შიშობაფს ჩინადადემა—სამეცნიერო სამჭოუში ნუღარ აქყყნუბონ დისურცადიების დაცვის შესახებ განცხადებებს ვაბოთებში.

გაცილებით თრიგინალურად გვჩვენება, თუ დავშუქდავთ იმ მოძალადეთა სიუბს და განცხადებებს, რომლებიც არ დაციფარ დისურცადიებს. ასე, მაგალითად:

3 დეკემბერს, დღის ორ საათზე, ასტროფიზიკოსთა და საპლანეტათაშორისო მიმოსვლის გზატკეცილების საამოორტიზაციო ხარჯების გამოანგარიშების კიბერნეტიკული ცენტრის სხდომითა დარბაზში მოქალაქე ნატალია თეოფანეს ასული შეწირული თემაზე— „ინდივიდის დამოკიდებულება ალბურის ზონის ყაყაჩოთა ვაფერმკრთალებების ქლოროფინის მარცვლურ დეგრადაციასთან შესახებამხად“ — კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დიეტაციას არ დაიცავს.

საქართველო

(ნეპროლოგი გადასულ ლანდებზე)

ამ ბოლო დროს კონსტანტინე გამსახურდიას ნაწერებს ვკითხულობ მომეტებულად. არ ვიცი, ამის ბრალოა, თუ იმ პატარა ცნობისა, სოფლიდან რომ მივიღე, მელხისედეკი და აფრასიონი გარდაიცვალენო, და თქვენ წარმოიდგინეთ, მეც მომინდა კალმის ხელში აღება და პატარა ნეკროლოგის დაწერა წარსულის ლანდებზე.

წვერ და მოთეთრო უღვაშებთან, მას მუდამ თავზე ბატკნის ტყავის მაღალი ქუდი ეხურა. არაფერ იყო და, ქონდა მელხისედეკს თმა თუ არა, ის არავის უნახავს ქუდმოსხილი არც ლხინში, არც ჭირში, არც შინ და არც გარეთ, არც კუბოში...

მას საკვირველი თვალები ჰქონდა, თითქოს არარას გამომეტყველი და არას მოქმედი, მაგრამ, ამავე დროს, ჰქვიანი, ნაზი და ცოტადღენ სევდიანი. ძნელი სათქმელია, თუ რა ფერისა იყო მელხისედეკის თვალები, მათი ფერი შვის სვლასთან ერთად იცვლებოდა: დილით თითქოს მწვანე იყო, შუადღისას — მოლურჯო და საღამო ეამს — მოშავო. მაგრამ მელხისედეკი სხვა რამით იყო ცნობილი: იგი ხარაგოულში ერთადერთი და განუყოფელი იყო.

აფრასიონი მიცვალბულს დაატირებდა, ჭირისუფალმა იცოდა, ეს მელხისედეკი მოთქვამსო. აფრასიონი მელხისედეკის სახელით თამაშობდა, აქვე მუდოში, თითქოს მომღიმარი მელხისედეკი დარბაისლური მანერებით ნელ-ნელა წრუპავდა ღვინოს.

ხანდების ქვის დამმუშავებელი არტლის სხდომაზე მდუმარე მელხისედეკი თავმჯდომარეობდა. აფრასიონი კი გაიძახოდა: მელხისედეკი ფიქრობს, ასე სჯობია, მელხისედეკი ვარაუდობს, ისე ივარგებოს.

მელხისედეკი იქვე იჯდა და, თუმცა მისი სახე უტყვი იყო, როგორც ხანდების ქვა, ვერავინ შეიტანდა გუბს, რომ ეს აზრები სწორედ მისი იყო და არა აფრასიონის.

მელხისედეკი და აფრასიონი ზემო იმერეთში ცხოვრობდნენ, ხარაგოულში. რით განირჩევა ხარაგოული ზემო იმერეთის სხვა დაბებისა, ან სოფლებისგან? ბევრი არაფრით. ანკარა, ცივი და ჩქარი ჩხერიმელა რიონისკენ მიბრის და მიიჩქარის. ჩხერიმელას დიდი მთა შუაზე გაუბია და ვიწრო კალაპოტში მოუთავსებია. მთის კალთებზე, ჩხერიმელას ნაპირებზე, პატარა ოღებია გაშენებული, სულ პაწაწინა კოპწია ეხობები.

ზემო იმერულ პეიზაჟზე ბერის თქმა შეიძლებაოდა, მაგრამ ნიანგს, მგონი, პეიზაჟების აღწერა არ უყვარს. თუ მკითხველს მაინცდამაინც სურს გაისხუნოს იმერული პეიზაჟი, შალვა შამალაძისა და დავით კაკაბაძის აკავრელები ან ზეით ნახატი იმერეთი ნახოს.

ხარაგოულში, სადაც ხალხს ცოტა არ იყოს ეგზალტრობა, აღვხებულთა, ჰქუამახვილობა და ბევრი სხვა რამე კარგი და ცუდი ახასიათებს, მელხისედეკი თეთრი ყვავივით გამიორჩეოდა.

მუდამ დინჯი, მუდამ მდუმარე, რადგან ის სულ საწინააღმდეგო თვისებების მატარებელი იყო, ვიდრე ხარაგოულელთა უმრავლესობა, მას მოხვეჭილი ჰქონდა ბრძენის თუ არა, დიდად ჰქვიანი ადამიანის სახელი.

ასე იყო განთქმული ჩვენში დიდი ჰკუით მელხისედეკი, თუმცა ეს ჰკუა, გონი და აზრი აფრასიონის საშუალებით შედგებოდა და მეტყველებდა.

მამა რომ გარდაეცვალა, მელხისედეკი და აფრასიონი სატირალში ჩამოვიდნენ. მამა მეტად მიყვარდა, მძიმედ განვიცდიდი მის დაკარგვას, არ შემეძრნევი მათი შემოსვლა.

უცებ საკვირველი ხმა შემომესმა. ვილაყამ სამარი-სებური, ყრუ ხმით წამოიძახა: „რატომ მიგვატოვე შენ, ჩვენ?“

დაახლოებით ნახევარი საათის მანძილზე, ინტერვალებით, გაისმოდა ეს საკრამენტალური ოთხი სიტყვა. ეს მელხისედეკი იყო, რომელიც დღემა განცდამ აამეტყველა.

გასართობი ადგილი წინათ ხარაგოულში რკინიგზის სადგური იყო. შემოღამებისას ბათუმის თუ თბილისის მატარებელს ისე ელოდნენ, როგორც ახლა, აქ, ჩვენთან, თბილისში, „დინამოსა“ და „საპრატკის“ შეკიბრებას ფეხბურთში.

ქალები სვეციადურად ირთვებოდნენ, უმარულსა თუ პუდრს გაფაციცებით ისვამდნენ. ვაჭრებიც კობტავდებოდნენ და სადგურისკენ მიეშურებოდნენ. აქ იყრიდა თავს ხარაგოულის „ბოთინი“.

აქვე ბაასობდნენ საგარეო თუ საშინაო საქმეებსა თუ ამბებზე. ცოტას ჭორაობდნენ კიდევ: „ბოშო, იმ წაწყმედილმა ლაგერენტმა რავა გლახა თვალით გადახედვა სერაფიონის გაბღენილ აფროდიტას, ხომ არაფერს უპირებს, ა?“

ერთი სიტყვით, მელხისედეკი ხარაგოულის სფინქსი იყო და აქაც არაფერია საკვირველი. სფინქსები მარტო ეგვიპტეში ხომ არ უნდა იყვნენ? რატომ არ შეიძლება ერთი სფინქსი ხარაგოულში გვეყოლოდა? საქმე ისაა, რომ მელხისედეკი სფინქსიც იყო და თანაც არ იყო, რადგან მას, როგორც ლანდი, თან ორავული დაჰყვებოდა.

აფრასიონი სულ საწინააღმდეგო თვისებებით დაჯალდოდა ზემო იმერეთის ბუნებამ, მისმა დედა კესარიამ და მამა ჭიხისორომ.

დაბალი, მსუქანი, მრგვალსახიანი, ყავისფერ ჩოხაში, გიჟისტილებთან შავ ახალუხში და ყავისფერ აზიურ წაღებში გამოწყობილი აფრასიონი ჩხერიმელას ვიბრებოდა სიტყვებში, დაუდგებოდაში.

დამსწრეთა გაკვირვებას სასდვარი არ ჰქონდა. ნახეთ, მელხისედეკი ამეტყველოდა, თუმცა განცვიფრებაც უსაზღვრო იყო: ნუთუ ამ ოთხი სიტყვის მეტი ვერაფერი მოიგონა ჩვენმა ბრძენმაო. მეტე კი, სანამ მამას დავასაფლავებდით, ხუთი დღეამის განმავლობაში, მელხისედეკი კვინტი აღარ დაუძრავს.

მამა რომ დაგმარხეთ, შინ დაგბრუნდით და მგონი პირველად მრავალი ათეული წლის მანძილზე აფრასიონმა უსაყვედურა თავის მეგობარს: „ბიჭო, შეოჯანდასაქვეო, მეტი სათქმელი თუ არაფერი გქონდა, ვერ მაცალე, რადაცას ვიტყოდი, მაინც შენად გასაღებოდა!“

მელხისედეკმა წვერზე ხელი გადაისვა, ხმა არ ამოუღია. უსიტყვოდ გადამოცნა და ოთახიდან გავიდა. აფრასიონი თან გაჰყვა.

„მ, ბიჭო, მელხისედეკი მოდის, აფრასიონი ნეტარა იქნა?!“ — ეკითხებოდნენ ერთმანეთს სადგურის ბაქანზე მოსიერნი.

მელხისედეკი გამოჩნდებოდა თუ არა, რამდენიმე წამი, და აფრასიონიც დაუღვენებოდა მას.

ძნელი წარმოსადგენია იყო ხარაგოულის სადგური ისე. თუ აქ არ სვირობდნენ მელხისედეკი და აფრასიონი.

ნაცრისფერ ჩოხაში, ამავე ფერის ახალუხში, სპილოს ძეღის ქილებით, მოფერცხილი ქართული ქამრით, ფეხზე შუსტად მორგებულ აზიურ წაღებში დინჯად მოაბიჯებდა მაღალი, გამხდარი, წერწეტა მოხუცი. სახე მოყვითალო ფერისა ჰქონდა. ავადმყოფური, არისტოკრატიული სინაზის თითქმის მუდამ გიშრის კრიალოსანს ათამაშებდნენ. გრძელ, ქერა

მუდამ მომღიმარე, ჰქუამახვილი, ცქეტი და ეშმაკური თვალებით, კობტად გაკრებილი უღვაშებითა და ბულანჯური მოკლე წვერით ის მუდამ, როგორც ლანდი, თან სდევდა მელხისედეკს.

მელხისედეკი და აფრასიონი ხარაგოულელი დონ კინოტი და სანრო-პანსა იყვნენ, ბუნებას ლამაზნიდან ჩხერიმელას ნაპირზე, რამდენიმე საუკუნის მოგვიანებით რომ გადმოესროლა.

აფრასიონი ენაწყლოანი იყო, მაგრამ არავის ასოფს, რომ მას საკუთარი სახელით ელაპარაკოს. ის მუდამ გაიძახოდა: მელხისედეკმა ასე თქვა, მელხისედეკმა ისე ბრძანაო და ძნელი იყო, არ დაგვეჯერებო, რადგან უსიტყვო მელხისედეკი აქვე იდგა, აუღლებოდა წვერზე ხელს ისევამდა და თან უღვაშებში დიდებოდა.

მას შემდეგ ხარაგოულელი სფინქსი და მისი ორაკული აღარ მინახავს.

ამას წინათ შემატყობინეს, მელხისედეკი გარდაიცვალა. ხოლო ერთი კვირის შემდეგ, აფრასიონიც თან გაჰყვაო.

უნდა გამოგიტყდეთ, ძალიან მიყვარდა ჩემი თანადაბელები, სევდამ დამაწვინა ეს ნეკროლოგი. ეს რომ არა, აბა, ჩემი საქმეა ნეკროლოგების წერა?!

ლადო ილიაელი

პრეზიდიუმი რედაქტორი ნოდარ ლუმაბაძე.

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიშნიანიძე (მთავ. რედ. მოადგილე), ნ. შველიძე, ო. ქელიძე.

თბილისი, სატირისა და იუმორის კერძალაი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал «Нианги». საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი რუსთაველის ქრ. № 42. ტელ. რედაქტორის 9-76-89. საერთო განყოფილების — 2-10-78.

ხელმოწ. დასაბ. 16/XI-1968 წ. ქალ. ზომა 70x108 1/2 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კ. ც. გამომცემლობის სტანბა № 1. ლენინის ქ. № 14. შავა. № 3858 უფ. 03339 ტირაჟი 5000

— თქვენი პასპორტებისთვის ეს პორტრეტები არ
გამოდგება, გგლის სურათები წარმოგვიღვინეთ!

